ლენინგრადი. (ტელეგრაფით ჩვენი კორ.).

ისევე, როგორც წინა შეხვედრაში "ზენიტთან", თბილისის "დინამოს" მატჩმა ლენინგრადის "შრომით რეზერვებთან" დიდი ინტერესი გამოიწვია.

დინამოელებმა თამაში დაიწყეს სწრაფ ტემპში, ენერგიული შეტევებით და უკვე მეორე წუთზე ღოღობერიძემ გახსნა ანგარიში – იგი დრიბლინგით გავიდა მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე და გაიტანა გოლი.

ტაიმის დასასრულს ლენინგრადელებმა წარმატებით დაამთავრეს თავისი ერთ–ერთი იერიში და კოლობოვმა გაიტანა საპასუხო გოლი – 1:1.

შესვენების შემდეგ ბრძოლა კიდევ უფრო მწვავე ფორმებში მიმდინარეობდა, მაგრამ ცვლილების შეტანა ანგარიშში ვერც ერთმა გუნდმა ვეღარ შეძლო. მატჩი დამთავრდა ფრედ.

დუბლიორებმა ითამაშეს აგრეთვე ფრედ – 1:1.

"ლელო", 13 მაისი, 1956 წ.